საქმე 3ა/186-2005 წ.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე
პირის ჩაბმის შესახებ

06 მაისი 2005წ. ქ. თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო
საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით

თავმჯდომარე ნანა ჭანიშვილი
მოსამართლეები: ტარიელ ზამბახიძე
მიხეილ ბებიაშვილი

მარიკა ჩეჩელაშვილის მდივნობით

მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლების მ. ბარბაქაძის, ქ. გუჯარაიძის;

მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ ინტერნეიშენალ ლიმიტედი"-ს წარმომადგენლის ბ. ალასანიას მონაწილეობით;

განიხილა საკითხი საქმის განხილვაში მესამე პირის სტატუსით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიი"-ს ჩაბმის შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის წარამოებაშია საქმის მასალები მოსარჩელის ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა"-ს სარჩელისა გამო, პირველი მოპასუხის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, მეორე მოპასუხის შპს „სპი კაპაგ პეტროფაგ

ინტერნეიშენალ ლიმიტედის" მესამე მოპასუხის საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მიმართ.

06.05.2005წ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" კომპანიის წარმომადგენელმა აღძრა შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე ადმინისტრაციული პროცესში მესამე პირის სტატუსდით ჩაბმულ იქნას „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია".

სამოტივაციო ნაწილი:

სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამ მიზეზით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია" უნდა იქნეს ჩაბმული საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ჩაბმულ იქნეს №3ა/186-2005წ. ადმინისტრაციული საქმის განხილვაში მესამე პირის სტატუსით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია".

2. საქმეში ჩაბმულ მესამე პირს გადაეგზავნოს სასარჩელო განცხადება და ამ განჩინების ასლი.

ეცნობოს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" წარმომადგენელს, რომ იგი უფლებამოსილია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს თბილისის საოლქო სასამართლოს კანცელარიაში (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა) მოსამართლის თანაშემწესთან ილონა თოდუასთან.

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის წარმოდგენა არ დაიშვება.

თავმჯდომარე: ნ. ჭანიშვილი

მოსამართლეები: ტ. ზამბახიძე

მ. ბებიაშვილი